



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სოციალური პოლიტიკისა და  
სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით  
ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის

ანგარიში

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

2024 წელი

## კვლევის გუნდი:

**მამუკა პაპასკირი** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

**შორენა წაბრია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, ბავშვთა უფრლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი

**მაია მაკალათია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

**მანანა ქოიავა** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის, სოციალური დაცვისა და დევნილთა განყოფილების უფროსი

**აზა ჩიქოვანი** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის, სოციალური დაცვისა და დევნილთა განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

**მაია გეგეჭკორი** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, ბავშვთა უფრლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკი

**ნუნუ კილაძე** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, ბავშვთა უფრლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკი

**სოფიო გოგია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, ბავშვთა უფრლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ჯანმრთელობის მართვის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

## შესავალი

2024 წელს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაცია - „ათეა“-ს (NALAG) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რომლის თანახმად, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალი ინიციატივის შედეგად, ბავშვები და ბავშვიანი ოჯახები ისარგებლებენ ბავშვზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამებით, რომელსაც გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან პარტნიორობით ახორციელებს.

პროექტი, „ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა ბავშვზე მორგებული სოციალური პროგრამების განვითარებაში“ სამეგრელო-ზემო სვანეთის ოთხ შერჩეულ მუნიციპალიტეტს დაეხმარება ბავშვების და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავებაში, კერძოდ საჭიროებათა კვლევის პროცესში.

საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამების მოდელი დაეფუძნება მეთოდოლოგიას, რომელსაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები იყენებენ. ეს არის კომპლექსური მიდგომა და ემსახურება დაუცველი ბავშვებისა და ოჯახების კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი მუნიციპალური სოციალური პროგრამების შემუშავებას.

მემორანდუმი განსაზღვრავს თანამშრომლობის ჩარჩოს და ხელს უწყობს მხარეებს შორის თანამშრომლობას, ბავშვზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებული მუნიციპალური სოციალური პროგრამირების საჭიროებათა კვლევის ეტაპზე, რომელიც ტარდება ადგილობრივ დონეზე სოციალური საჭიროებების კვლევის შეთანხმებული მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების გამოყენებით.

მემორანდუმით აღებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია „ათეა“-მ უზრუნველყო საექსპერტო და მეთოდური დახმარება, საჭიროებათა კვლევის შემუშავებული მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში საჭიროებათა კვლევის ჩატარების ყველა ეტაპზე. ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას და გამოცდილების გაზიარებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 27 მარტის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი“, რომელიც დაკომპლექტდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისაგან. სამუშაო ჯგუფს დაევალა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარება. საჭიროებათა კვლევის ჩასატარებლად დამტკიცდა საქართველოს ადგილობრივ

თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია - „ათეა“-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი და ინსტრუმენტები. სამუშაო ჯგუფს, საჭიროებათა კვლევის ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვრა 2024 წლის 5 ივლისი.

### მუნიციპალიტეტის აღწერა



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. ქალაქი იყოფა 4 ისტორიული განაშენიანების უბნად, რაც პრაქტიკულად უდევს საფუძვლად მის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფას, ესენია: კუნძულის უბანი, ნაბადის უბანი, ცენტრის უბანი, მალთაყვის უბანი.

ფოთი, საქართველოს ერთ-ერთი თვითმმართველი ქალაქია. მას გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები.

მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

ფოთის საკრებულო არის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და რეგლამენტით დადგენილი უფლებამოსილების შესაბამისად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიასა და ძირითად მიმართულებებს, აკონტროლებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირთა საქმიანობას, იღებს გადაწყვეტილებებს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე. საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული 35 წევრსიგან.

მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას. მერია შედგება მერის პირველი მოადგილის, მერის მოადგილეებისა და 9 სტრუქტურული ერთეულებისგან.


მერიის სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერის დავალებების შესრულებას. სტრუქტურული ხე იხილეთ მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდის ლინკზე.

## დემოგრაფია

ფოთის ოთხი უბნიდან ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და მრავალრიცხოვანი არის კუნძულის უბანი (12 270 მოსახლე). ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 41 465. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 1.1%-ს, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის 13.9%-ს შეადგენს. მოსახლეობის სიდიდის მიხედვით, საქართველოს ქალაქებს შორის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი მე-7 ადგილზეა.

ა(ა)იპ „სოციალური მომსახურების ცენტრი“ - ს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 8 769 ბავშვი.

გრაფიკი N 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, 2015-2024 წელი, ათასი მოსახლე



**წყარო:** სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს რეგიონებსა და მუნიციპალიტეტების მიხედვით, იხილეთ გვერდზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად შეიმუშავებს და ახორციელებს მათ საჭიროებებზე ორიენტირებულ სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს. აღნიშნული პროგრამებიდან, უშუალოდ ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის მიმართულებით მოქმედებს შემდეგი პროგრამები:

**მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობა** - პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირები (მათ შორის ბავშვების) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას, სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის ხარჯების, ძვირადღირებულ ოპერაციების და ძვირადღირებული გამოკვლევების იმ კომპონენტის თანადაფინანსებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ან კერძო დაზღვევით (წელიწადში ერთხელ).

**მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა** - აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია მატერიალურ დახმარებას უწევს სხვადასხვა მწვავე თუ ქრონიკული დაავადებების მქონე ადგილობრივ მოსახლეობას (მათ შორის ბავშვების), იმ სახის მედიკამენტების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით (წელიწადში ერთხელ).

**შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება** - აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირების, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მათ შორის აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე პირთა ფსიქოსომატური რეაბილიტაციის დაფინანსებას (წელიწადში ერთხელ).

ა) აუტიზმის მქონე ბავშვებს (ICD-10 განსაზღვრული კლასიფიკატორები F84.0, F84.1, F84.5, F84.9) წელიწადში ერთხელ - არაუმეტეს 3600 (სამაათას ექვსასი) ლარით.

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვებს წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარით.

**ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულ პირთა კვებითი დანამატებით უზრუნველყოფა** - პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და/ან ცელიაკით დაავადებულ პირთა (მათ შორის ბავშვების) დაფინანსებას კვებითი დანამატების შესაძენად, წელიწადში ერთხელ არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარით.

**კოხლერული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება** - პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, კოხლერული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარებას, აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით. კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის შესაძენი თანხის წლიური ლიმიტი განისაზღვრულია 700 (შვიდასი) ლარით, პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის შესაძენი თანხის წლიური ლიმიტი განისაზღვრულია 300 (სამასი) ლარით.

**მარტოხელა მშობელთა დახმარება** - სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო, მარტოხელა მშობელთა უმრავლესობა უმუშევარია, მათ მძიმე ტვირთად აწევთ მცირეწლოვანი შვილების მოვლა-პატრონობა. იზრდება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა რაოდენობა, ამიტომ მიზანშეწონილია გაეწიოს ყოველთვიური მატერიალური დახმარება, მოზარდის 18 წლის ასაკის შესრულებამდე.

**ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა** - ქვეპროგრამა მოიცავს ეკონომიურად უკიდურესად შეჭირვებულ, უმეტესად ყურეოდ დარჩენილ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ფიზიკური გაჯანსაღებისა და უფასო კვებით მომსახურებას. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო ამბულატორიული მკურნალობისათვის, მედიკამენტებით უზრუნველყოფას (მრავალჯერადი).

**შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად** - პროგრამა ითვალისწინებს შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარებას კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად (მრავალჯერადი).

**ახალშობილთა ოჯახების დახმარება** - პროგრამა უზრუნველყოფს ახალშობილთა ოჯახების წახალისებას, რათა ხელი შეუწყოს დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ახალშობილთა ოჯახებისათვის (მათ შორის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დევნილებზე) გათვალისწინებულია ერთჯერადი დახმარება.

**მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება** - პროგრამით დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მკვიდრ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე, იმის გათვალისწინებით, რომ მრავალშვილიანის მშობლები (განქორწინების შემთხვევაში მშობელი) უნდა იყვნენ რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომლებიც ზრდიან 3 და მეტ არასრულწლოვან მოზარდს (უფროსი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებამდე), უმცროს შვილზე მიზანშეწონილია დაენიშნოს ყოველთვიური მატერიალური დახმარება:

- 3-შვილიან ოჯახს – 50 ლარი;
- 4-შვილიან ოჯახს – 100 ლარი;
- 5-შვილიან ოჯახს – 190 ლარი;
- 6-შვილიან ოჯახს – 220 ლარი;
- 7-შვილიან ოჯახს – 300 ლარი;
- 8 და მეტ-შვილიან ოჯახს – 450 ლარი.

**ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება** - ქალაქში დემოგრაფიული სიტუაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მკვიდრ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს, იმის გათვალისწინებით, რომ მრავალშვილიანის მშობლები უნდა იყვნენ რეგისტრირებულნი ქალაქ ფოთში, რომელთაც ჰყავთ ხუთი და მეტი შვილი (უფროსი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებამდე), წელიწადში ერთხელ გაეწევათ მატერიალური დახმარება 2000 ლარის ოდენობით.

**სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები** - პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო დღეებში შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარების მატერიალურ წახალისებას:

დედით, მამითა და დედ-მამით ობლები 18 წლამდე ასაკის – 100 ლარი წელიწადში ერთხელ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები 18 წლამდე ასაკის მოზარდები – 100 ლარი წელიწადში ორჯერ.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა, თანდაყოლილი გულის მანკით დაავადებულთა 18 წლამდე ასაკის - 500 ლარი ერთჯერადად.

ეპილევსიით დაავადებულ ბავშვთათვის, 18 წლამდე ასაკის ბავშვები - 500 ლარი ერთჯერადად.

**საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების ფინანსური დახმარება** - პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების ფინანსურ დახმარებას. პროგრამით გათვალისწინებული ფულადი სოციალური დახმარების ოდენობა შეადგენს 200 ლარს წელიწადში არაუმეტეს ორჯერ.

**სოციალურად დაუცველი და საჭიროების მქონე მოსწავლეების სასკოლო ნივთებით**

**უზრუნველყოფა**- სოციალურად დაუცველი და საჭიროების მქონე I-VI კლასის მოსწავლეები, მათ შორის სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვები. სასკოლო ნივთებით დახმარება, საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეიძლება გაეწიოს არაუმეტეს 100 (ასი) ლარამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, წელიწადში ერთხელ, თითოეულ ბავშვზე;

**დიაბეტით დაავადებულ (18 წლამდე) ბავშვთა მატერიალური დახმარების პროგრამა** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, დიაბეტით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვს ფინანსური დახმარება გაეწევა თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით.

**სოციალური მომსახურების ცენტრის ხელშეწყობა** - პროგრამა ითვალისწინებს ყოველდღიურად უმწეო მოქალაქეთა (მათ შორის ბავშვების) უზრუნველყოფას ცხელი სადილით დღეში ერთხელ. იმ მოქალაქეებს, რომელთაც უჭირთ გადაადგილება, არიან ლოგინს მიჯაჭვულები, გაეწევათ მომსახურება ბინაზე მიტანით.

**ფოთის სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდირება** - პროგრამა გენდერულად მგრძობიარეა, რომელიც ხელს უწყობს ქალების, ბავშვების, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების გადაადგილებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. მგზავრობის გადასახადისაგან სრულად თავისუფლდება ქალაქ ფოთში რეგისტრირებული 0 – 6 წლამდე ბავშვები და სკოლის მოსწავლეები (24 საათში 2-ჯერ);

**სპორტის სფეროს განვითარება** - მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლის“, ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძის“, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი“, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსის“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის სპორტზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისება.

**კულტურის სფეროს განვითარება** - მოსახლეობის (მათ შორის ბავშვების) კულტურული მიმართულებით გააქტიურებისათვის ფინანსდება კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის ღირსეულ გაგრძელებას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახელოვნებო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების ა(ა)იპ „აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის“, ა(ა)იპ „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის“, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის“, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის“, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზისა“, ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების“ ფინანსური მხარდაჭერა.

„ბავშვის უფლებათა კოდექსის“, „სოციალური მუშაობის შესახებ“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, გაიზარდა მუნიციპალიტეტის, როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლების ფუნქცია და როლი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი სოციალური პოლიტიკის ერთიან ეროვნულ სისტემაში. საჭიროებაზე მორგებული დაგეგმვის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის გარეშე, შეუძლებელი იქნება მუნიციპალიტეტებში ეფექტიანი და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის გატარება. შესასრულებელი ამოცანების სწორად განსაზღვრისთვის აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტი ფლობდეს სრულ, სანდო და გარკვეული პერიოდულობით განახლებად ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებათა შესახებ. სწორედ ასეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა საჭიროებათა კვლევა. საჭიროებათა კვლევა არის მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის ნაწილი, რომლის მიზანია მოწყვლადი ჯგუფებისა და ადგილობრივი თემის საჭიროებათა გამოვლენა და იგი წარმოადგენს მტკიცებულებაზე დამყარებული სოციალური პოლიტიკის საფუძველს. საჭიროებათა კვლევა უზრუნველყოფს ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა გამოვლენას.

საკვლევი სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირებისათვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა ფოკუს-ჯგუფთან, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების, საგანმანათლებლო რესურსცენტრის და სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში შესაბამისი მიმართულებით მომუშავე სუბიექტების წარმომადგენლები.

ფოკუს-ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საჭიროებათა კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი:**

- შშმ სტატუსის მქონე;
- არ მიუმართავს სტატუსის მისაღებად, მაგრამ სავარაუდოდ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე.

**მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი:**

- ობოლი ბავშვი;
- მშობლის მიგრაციის გამო დროებით ნათესავებთან მცხოვრები.

**სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული ბავშვი:**

- რეინტეგრირებული ბავშვი;
- რეინტეგრაციას დაქვემდებარებული ბავშვიანი ოჯახი.

**ღარიბი ბავშვიანი ოჯახი:**


- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვი;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე, მაგრამ ღარიბი ოჯახის ბავშვი;
- ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი

თავისი შინაარსით, საჭიროება არის მოწყვლადი სამიზნე ჯგუფის მდგომარეობასა და ცხოვრების დისრეულ პირობებს შორის არსებული სხვაობა და საჭიროებათა კვლევის მიზანიც სწორედ აღნიშნული სხვაობის კონკრეტული კომპონენტების იდენტიფიცირებაში მდგომარეობს. საჭიროების კვლევისას ფოკუსირება მოხდა სამი ძირითადი სახეობის საჭიროებაზე:

- ✓ **გაცნობიერებული საჭიროება** (percieved/felt need) - ინფორმაციის წყარო: მიზნობრივი ჯგუფი, თემი, სერვისის მიმწოდებელი.
- ✓ **გამოთქმული/გამოსატული საჭიროება** (expressed need) - ინფორმაციის წყარო: მიზნობრივი ჯგუფი, სერვისის მიმწოდებელი, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, სოციალურ საკითხებზე მომუშავე საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაცია.
- ✓ **ნორმატიული საჭიროება** (normative need) - ინფორმაციის წყარო: სოციალური მომსახურების სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

### კვლევის მეთოდოლოგია

საჭიროებათა კვლევა ჩატარდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. კვლევამ მოიცვა მუნიციპალიტეტის 4 დასახლება. სამუშაო პროცესში, გარდა სამუშაო ჯგუფის წევრებისა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადმინისტრაციულ ერთეულებში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ოთხივე წარმომადგენელმა და ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტებმა. სამუშაო ჯგუფის მიერ, მერის წარმომადგენლების მეშვეობით, მოხდა სამიზნე ჯგუფის წევრთა შესახებ მონაცემთა შეგროვება დასახლებების დონეზე, შეგროვებულ მონაცემთა აგრეგირება სტატისტიკურ ინფორმაციად ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე.




ანკეტური გამოკითხვა რესპონდენტებთან და შევსებული ანკეტების დამუშავება და

ანალიზი. საჭიროებათა კვლევის პროცესში დაცული იყო კვლევის ეთიკური პრინციპები. კვლევაში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა, კონფიდენციალურობა, ინფორმირებული თანხმობა, აზრის გამოხატვის თავისუფლება, კვლევის მონაწილეებისთვის მათი უფლებების გაცნობა, გენდერული ბალანსი და ეთნიკური უმცირესობების თანაბარი მონაწილეობა.

გამოკითხვის პროცესში დაცული იყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, გათვალისწინებული იყო კვლევის ჩატარების ეთიკური პრინციპები და კვლევაში მშობელთა მონაწილეობის თავისებურებები.

საჭიროებათა კვლევისას, მიზნობრივი ჯგუფების მოცვის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 18%. ანკეტური გამოკითხვისას რესპონდენტების რაოდენობამ შეადგინა 144. ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ჩატარებისას გამოყენებულ იქნა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის - „ათეა“-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი და ინსტრუმენტები.



### ტერმინთა განმარტება

- ✓ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი** - 18 წლის ასაკამდე პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;
- ✓ **განვითარების დარღვევის მქონე ბავშვი** - 18 წლის ასაკამდე პირი, რომელსაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, მაგრამ აქვს გამოხატული ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევა, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;
- ✓ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი** - პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;
- ✓ **სოციალურად დაუცველი პირი** - ფიზიკურად პირი, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს

დახმარებას ელემენტარული ცხოვრებისეული პირობების შესაქმნელად. სოციალურად დაუცველ პირებს მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები;

- ✓ **ღარიბი ოჯახი** – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი ან პირთა წრე, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლებია;
- ✓ **ობოლი ბავშვი** - 18 წლის ასაკამდე პირი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს ორივე ან ერთ-ერთი მშობელი;
- ✓ **მარჩენალდაკარგული ბავშვი** - ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი (შვილები) 18 წლის ასაკის მიღწევამდე, რომელსაც ენიშნება სოციალური პაკეტი მარჩენალის გარდაცვალების გამო;
- ✓ **რეინტეგრირებული ბავშვი** - 18 წლის ასაკამდე პირი, რომელიც ბავშვთა სახლიდან, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან ან მინდობითი აღზრდიდან ბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვე/მზრუნველთან;
- ✓ **მრავალშვილიანი ოჯახი** - ოჯახი 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვით.

## კვლევის ძირითადი მიგნებები და პრიორიტეტები

### 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, მ.შ.:

#### 1.1 შშმ სტატუსის მქონე ბავშვი

#### 1.2 სსმ სტატუსის მქონე ბავშვი

აღნიშნულ კატეგორიაში სულ გამოკითხულია 39 ბავშვიანი ოჯახი. მათ შორის: შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონეა 28 ბავშვი, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 11 ბავშვი.

შშმ და სსმ სტატუსის მქონე 39 ბავშვიდან, 22 ბავშვზე ზრუნავს ორივე მშობელი. 7 ბავშვის შემთხვევაში მშობელი არის მარტოხელა, ხოლო 1 ბავშვი ბებია-ბაბუის მზრუნველობის ქვეშ.

სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა 6 ოჯახი, ხოლო დევნილის სტატუსის მქონე 7 ოჯახი.

აღნიშნულ კატეგორიაში, გამოკითხული მშობლებიდან, უმეტესობას აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო დანარჩენებს ტექნიკური და საშუალო განათლება.

გამოკითხული ოჯახების ყოველთვიური, სტაბილური, შემოსავალი 5 შემთხვევაში არის 500 ლარამდე, 20 ოჯახის შემთხვევაში - 500-1000 ლარამდე, 11 ოჯახის შემთხვევაში კი 1000 ლარზე მეტი. 3-მა მათგანმა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.

გამოკითხული 9 ოჯახის შემოსავალში, სახელმწიფო გასაცემლის წილი 100%-ია, 5 ოჯახის შემოსავალში - 50%-ზე მეტი, 4 ოჯახის შემოსავალში - 50%, ხოლო 14 ოჯახის

შემოსავალში - 50%-ზე ნაკლები. დანარჩენმა 7-მა გამოკითხულმა პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა.

გამოკითხულთაგან, ყველა მათგანი ცხოვრობს კერძო და მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. მათგან, რეგისტრირებულ საკუთრებას წარმოადგენს 25 კერძო და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ხოლო 2 მათგანი არარეგისტრირებული საკუთრებაა. გირა-ქირით ცხოვრობს 7 ოჯახი, ახლობლის სახლში კი - 5 ოჯახი.

უმეტესობა მათგანში, საცხოვრებლის მდგომარეობა კარგი ან უმნიშვნელოდ დაზიანებულია და ყველა მათგანს აქვს კომუნიკაციებზე წვდომა. 33 ოჯახი გათბობის საშუალებად იყენებს ბუნებრივ აირს, 2 ოჯახი - ელ.ენერგიას, ხოლო 4 ოჯახი - შეშას.

ტრანსპორტირების საჭიროება ოჯახებში არ დგას. ტრანსპორტირება ძირითადად უზრუნველყოფილია ოჯახების მიერ.

გამოკითხული 39 ოჯახიდან, 10 ოჯახი ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა სრულფასოვან კვებას, 6 ოჯახი ვერ ახერხებს ჰიგიენური საშუალებების შეძენას, 8 ოჯახი - ბავშვთათვის სასკოლო ნივთების შეძენას, 3 ოჯახი - სეზონური ტანსაცმლის შეძენას, 9 ოჯახი - სათამაშო და გასართობი ნივთების შეძენას, 18 ოჯახს უჭირს კომუნალური გადასახადების გადახდა, 9 ოჯახი საჭიროებს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, 6 მათგანი ითხოვს ბავშვთა კულტურულ-გასართობ აქტივობებში ჩართვას.

აღნიშნულ კატეგორიაში პრიორიტეტულ საჭიროებად, რომელთა დაკმაყოფილება უმწელებათ ოჯახებს, პირველ ადგილზეა კომუნალური გადასახადის გადახდა, მე-2 ადგილზე ბალანსირებული კვების უზრუნველყოფა, შემდეგ ადგილებზე სასწავლო და გასართობი ნივთების შეძენა.

სკოლის შემდგომ, არაფორმალური განათლების აქტივობებში ჩართულია 20 ბავშვი. დანარჩენი 19 ბავშვის შემთხვევაში ფიქრობენ, რომ აღნიშნული აქტივობები ბავშვის ინტერესებზე არაა მორგებული ან უფასოდ არ არის ხელმისაწვდომი.

გამოკითხულთა აზრით, ძირითად, 2 დამხმარე საჭიროება გამოვლინდა - ჰიგიენური საშუალებები და სპეციფიკური მედიკამენტები.

გამოკითხულები, ბავშვთა დაცვის აქტუალურ საკითხად მიიჩნევენ ბულინგს, სიღარიბეს და შშმ ბავშვების განათლებას, სოციალურ ინკლუზიას.

აღნიშნულ კატეგორიაში, გამოკითხულები, პრიორიტეტულ მხარდაჭერად მიიჩნევენ ფულად დახმარებას, ბავშვების საგანმანათლებლო წრეებსა და რეაბილიტაციის ცენტრებში ჩართულობას და მშობლებთა დასაქმებას.

გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს მუნიციპალიტეტთან მიმართვიანობის გამოცდილება. 87,2% დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მხრიდან მხარდაჭერას, ხოლო დარჩენილმა 12,8%-მა შეკითხვას არ უპასუხა. 26 ოჯახი, მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის სასურველ ფორმად მერიაში ვიზიტს მიიჩნევს.

## **2. მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, მათ შორის:**

**2.1 დედით, მამით, დედ-მამით ობოლი ბავშვი.**

**2.2 მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი.**

აღნიშნულ კატეგორიაში სულ გამოკითხულია 33 ბავშვიანი ოჯახი, მათ შორის: ობოლი - 21, ხოლო მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვიანი - 12 ოჯახი.

გამოკითხული 33 ოჯახიდან მრავალშვილიანი ოჯახია 2, სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს 14 ოჯახს, შშმ სტატუსი აქვს 3 ბავშვს.

**დედით, მამით, დედ-მამით ობოლი ბავშვი**

აღნიშნულ კატეგორიაში, უმაღლესი განათლება აქვს - 6, ტექნიკური - 4, საშუალო - 11 ობოლი ბავშვის მშობელს. აქედან, 9 მშობელი უმუშევარია, 8 მშობელი დასაქმებულია სრულ განაკვეთზე, 4 მშობელი კი თვითდასაქმებულია.

გამოკითხული ოჯახების ყოველთვიური, სტაბილური, შემოსავალი, 4 შემთხვევაში - 500 ლარამდეა, 13 შემთხვევაში 500-1000 ლარამდეა, დანარჩენ 4 შემთხვევაში კი 1000 ლარზე მეტია.

გამოკითხული 10 ოჯახის შემოსავალში, სახელმწიფო გასაცემლის წილია 100%, 4 ოჯახის შემოსავალში - 50%-ზე მეტი, 4 ოჯახის შემოსავალში - 50%-ზე ნაკლები.

გამოკითხულთაგან 9 ოჯახი ცხოვრობს კერძო, ხოლო 12 ოჯახი მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. მათგან, რეგისტრირებულ საკუთრებას წარმოადგენს 10 კერძო და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, გირა-ქირით ცხოვრობს 4 ოჯახი, ახლობლის სახლში ცხოვრობს 4 ოჯახი, ხოლო დანარჩენი 3 ოჯახი ცხოვრობს სხვის ან არარეგისტრირებულ საკუთრებაში.

ძირითად შემთხვევაში, საცხოვრებლის მდგომარეობა მეტ-ნაკლებად ან მნიშვნელოვნად დაზიანებულია. კომუნიკაციებზე წვდომა ყველა ოჯახს აქვს. გათბობის ძირითად საშუალებად ოჯახები იყენებენ ბუნებრივ აირს, რომელთა რაოდენობა 14 ოჯახია, ელ.ენერგიას იყენებს 1 ოჯახი, 5 ოჯახი - შემას, ხოლო ერთს არ აქვს გათბობის საშუალება.

ტრანსპორტირების საჭიროება ოჯახებში მეტ-ნაკლებად დგას. 1 ოჯახში დგას ბავშვის ბაღამდე მიყვანის საჭიროება, 1 შემთხვევაში ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, 6 შემთხვევაში კი ტრანსპორტირების საჭიროება არ დგას. 6 შემთხვევაში ტრანსპორტით ბავშვის სკოლამდე მიყვანის საჭიროება არ არის, 6 შემთხვევაში ტრანსპორტირების საკითხი უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, 9 შემთხვევაში კი - ოჯახის მიერ. ჯანდაცვის დაწესებულებამდე მიყვანის საჭიროება 7 შემთხვევაში უზრუნველყოფილია ოჯახის მიერ, ხოლო 5 შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ.

აღნიშნულ კატეგორიაში პრიორიტეტულ საჭიროებად, რომელთა დაკმაყოფილება უძნელდებათ ოჯახებს, პირველ ადგილზეა კომუნალური გადასახადის გადახდა, მე-2 ადგილზე ბალანსირებული კვების უზრუნველყოფა, შემდეგ ადგილებზე ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შეძენა.

ყველა სასკოლო ასაკის ბავშვი რეგისტრირებულია და დადის სკოლაში. მათგან 17

აღნიშნავს, რომ სასკოლო ნივთებით სრულად/უმეტესად უზრუნველყოფილია, ხოლო 4 აღნიშნავს, რომ სასკოლო ნივთებით ნაწილობრივ უზრუნველყოფილია. რაც შეეხება საკვებს, 6 მათგანს სახლიდან დააქვს სკოლაში, 6 ბავშვს კვების თანხა მიაქვს, ხოლო დანარჩენი 9 მოსწავლე არ იკვებება სკოლაში. 11 მათგანი აცხადებს, რომ ჩართულია სკოლის შემდგომ, არაფორმალური განათლების აქტივობებში.

ობოლი ბავშვების საჭიროებები (კვება, ტანსაცმელი, ჰიგიენის ნივთები) ძირითადად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. საჭიროებად გამოვლინდა დაბადების დღეების აღნიშვნა და კულტურულ-გასართობ აქტივობებში ჩართვა/მოწყობა.

გამოკითხულები, ბავშვთა დაცვის აქტუალურ საკითხად მიიჩნევენ 18 შემთხვევაში ბულინგს, 4 შემთხვევაში - სიღარიბეს და 8 შემთხვევაში ბავშვთა მენტალურ ჯანმრთელობას.

აღნიშნულ კატეგორიაში, გამოკითხულები, პრიორიტეტულ მხარდაჭერად მიიჩნევენ პირველ პრიორიტეტად ფულად დახმარებას, მე-2 პრიორიტეტად მშობელთა დასაქმებას და მე-3 პრიორიტეტად საბინაო პირობების გაუმჯობესებას.

### **მშობლის მიგრაციის გამო ნათესავებთან დროებით მცხოვრები ბავშვი**

მშობლების მიგრაციაში მყოფი 12 ოჯახიდან, ბავშვზე მზრუნველი არის ბებია და ბაბუა. 12 ოჯახიდან, სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს 2 ოჯახს, შშმ სტატუსი აქვს 2 ბავშვს.

მიგრაციაში მყოფი მშობლებიდან უმეტესობას აქვს საშუალო განათლება, მხოლოდ 3 მშობელს აქვს უმაღლესი განათლება. მშობლებიდან 1 დასაქმებულია სრულ განაკვეთზე, დანარჩენი თვითდასაქმებული ან ხანგრძლივად უმუშევარია.

გამოკითხული ოჯახების ყოველთვიური, სტაბილური, შემოსავალი, 11 შემთხვევაში არის 1000 ლარამდე, 1 შემთხვევაში კი 1000 ლარზე მეტი.

გამოკითხულთაგან, ყველა მათგანი ცხოვრობს კერძო და მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. მათგან, რეგისტრირებულ საკუთრებას წარმოადგენს 7 კერძო და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, გირა-ქირით ცხოვრობს 2 ოჯახი, ახლობლის სახლში - 1 ოჯახი, ხოლო დანარჩენ 2 შემთხვევაში ცხოვრობენ სხვის ან არარეგისტრირებულ საკუთრებაში.

საცხოვრებლის მდგომარეობა 6 შემთხვევაში მეტ-ნაკლებად ან მნიშვნელოვნად დაზიანებულია. ყველა მათგანს აქვს კომუნიკაციებზე წვდომა. ოჯახები გათბობის ძირითად საშუალებად იყენებენ ბუნებრივ აირს, რომელთა რაოდენობა 9 ოჯახია, ელ.ენერგიას იყენებს 1 ოჯახი, ხოლო შეშას - 2 ოჯახი.

ტრანსპორტირების საჭიროება ოჯახებში მეტ-ნაკლებად დგას. 4 ოჯახში დგას სკოლამდე მიყვანის საჭიროება, 2 შემთხვევაში ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, 5 შემთხვევაში უზრუნველყოფილია ოჯახის მიერ. 3 შემთხვევაში ჯანდაცვის დაწესებულებამდე მიყვანის საჭიროება უზრუნველყოფილია ოჯახის მიერ, 2 შემთხვევა კი სახელმწიფოს მიერ.

აღნიშნულ კატეგორიაში პრიორიტეტულ საჭიროებად, რომელთა დაკმაყოფილება

უმწიფეობათ ოჯახებს, პირველ ადგილზეა კომუნალური გადასახადის გადახდა, მე-2 ადგილზე ბალანსირებული კვების უზრუნველყოფა.

ყველა სასკოლო ასაკის ბავშვი რეგისტრირებულია და დადის სკოლაში. მათგან 8 აღნიშნავს, რომ სასკოლო ნივთებით სრულად და უმეტესად უზრუნველყოფილია, დანარჩენი აღნიშნავს რომ ნაწილობრივ უზრუნველყოფილია. 3 ბავშვს სახლიდან დააქვს საკვები სკოლაში, 5 ბავშვს კვების თანხა მიაქვს, ხოლო დანარჩენი 3 ბავშვი არ იკვებება სკოლაში. 6 მათგანი აცხადებს რომ ჩართულია სკოლის შემდგომ, არაფორმალური განათლების აქტივობებში.

ბავშვის საჭიროებები (კვება, ტანსაცმელი, ჰიგიენის ნივთები) ძირითადად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. 5 ბავშვი ნაწილობრივ არის კვებით დაკმაყოფილებული, დანარჩენი დაკმაყოფილებულია. ჰიგიენის საშუალებებით 4 ბავშვი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, 4 ბავშვი სრულად დაკმაყოფილებულია. ტანსაცმლით ბავშვები უმეტესად დაკმაყოფილებულია.

საჭიროებად გამოვლინდა დაბადების დღეების აღნიშვნა და გართობა-დასვენების აქტივობებში ჩართვა/მოწყობა, თანატოლებთან ურთიერთობა.

გამოკითხულები, ბავშვთა დაცვის აქტუალურ საკითხად მიიჩნევენ 9 შემთხვევაში ბულინგს, 4 შემთხვევაში სიღარიბეს.

აღნიშნულ კატეგორიაში, გამოკითხულები, პრიორიტეტულ მხარდაჭერად მიიჩნევენ პირველ პრიორიტეტად ფულად დახმარებას, მე-2 პრიორიტეტად მშობელთა დასაქმებას და მე-3 პრიორიტეტად საბინაო პირობების გაუმჯობესებას.

მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვიანი ოჯახებიდან, ყველას აქვს მუნიციპალიტეტთან მიმართვიანობის გამოცდილება. ისინი დადებითად აფასებენ მუნიციპალიტეტის მხრიდან მხარდაჭერას. ოჯახები მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის სასურველ ფორმად მერიაში ვიზიტს მიიჩნევენ.

### **3. სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული და რეინტეგრაციას დაქვემდებარებული ბავშვი**

აღნიშნულ კატეგორიაში სულ გამოიკითხა 5 ოჯახი. სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებულია 1 ბავშვი, ხოლო რეინტეგრაციას დაქვემდებარებული 4 ბავშვი.

5 ბავშვიდან, 1 მათგანის მშობელი მარტოხელაა, 1 შემთხვევაში მზრუნველი არის უფროსი და-ძმა, 1 შემთხვევაში ბებია-ბაბუა, 1 შემთხვევაში ბავშვზე ზრუნავს მინდობით აღმზრდელი, 1 შემთხვევაში ნათესავი. 1 ბავშვი დედ-მამით ობოლია.

გამოკითხული 5 ოჯახიდან, 4 სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა და სარეიტინგო ქულა შეადგენს 65 000-ზე ნაკლებს.

გამოკითხულთაგან, მშობლის/მზრუნველის განათლება 4 შემთხვევაში არის საშუალო, 1 შემთხვევაში - ტექნიკური. მათგან 4 დროებით უმუშევარია, ხოლო 1 დასაქმებულია ნახევარ განაკვეთზე.

5 ოჯახიდან, 2 ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 500 ლარზე ნაკლებია, 2 ოჯახის

შემთხვევაში 500-1000 ლარამდე, 1 ოჯახის შემთხვევაში კი 1500 ლარამდე. აღნიშნულ შემოსავალში სახელმწიფო წილი 3 შემთხვევაშია 100%, 1 ოჯახის შემოსავალში - 50%-ზე მეტი, ხოლო 1 ოჯახის შემოსავალში - 50%-ზე ნაკლები.

გამოკითხულთაგან, 4 ოჯახის საცხოვრებელი მრავალბინიანი კორპუსია, ხოლო 1 ოჯახი ცხოვრობს კერძო სახლში. მათგან, რეგისტრირებული საკუთრება მხოლოდ 1 ოჯახის შემთხვევაშია.

საცხოვრებელი პირობები, ყველა მათგანის შემთხვევაში, დამაკმაყოფილებელია. ყველა მათგანს აქვს კომუნიკაციებზე წვდომა. გათბობის საშუალებად 1 ოჯახი იყენებს ელ. ენერჯიას, 3 ოჯახი - ბუნებრივ აირს, ხოლო 1 ოჯახი ვერც ერთს ვერ იყენებს.

ტრანსპორტირების საჭიროება 3 შემთხვევაში უზრუნველყოფილია ოჯახის მიერ, 1 შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ და 1 შემთხვევაში არ არის საჭიროება.

პრიორიტეტული საჭიროებები, რომლის დაკმაყოფილება უძნელდებათ ოჯახებს, ხუთივე შემთხვევაში არის კომუნალური გადასახადი, 4 შემთხვევაში საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა, 3 შემთხვევაში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, 2 შემთხვევაში ბალანსირებული კვება და 1 შემთხვევაში ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენა.

ოჯახები, ბავშვთა დაცვის აქტუალურ საკითხად მიიჩნევენ 4 შემთხვევაში ბავშვთა სიღარიბეს, 2 შემთხვევაში ბულინგს და 2 შემთხვევაში განათლების დაბალ ხარისხს.

აღნიშნულ კატეგორიაში, გამოკითხულები, პრიორიტეტულ მხარდაჭერად მიიჩნევენ ფულად დახმარებას, საბინაო პირობების გაუმჯობესებას, კვებითა და ჰიგიენური ნივთებით დახმარებას.

გამოკითხულებიდან, 4 მათგანს აქვს მუნიციპალიტეტთან მიმართვიანობის გამოცდილება. უმეტესობა დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერას. ისინი, მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის სასურველ ფორმად მერიაში ვიზიტს მიიჩნევენ.

#### **4. ღარიბი ბავშვიანი ოჯახი, მათ შორის:**

**4.1 სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვი.**

**4.2 სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე, მაგრამ ღარიბი ოჯახის ბავშვი.**

**4.3 ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი.**

გამოკითხულია 69 ღარიბი ბავშვიანი ოჯახი, საიდანაც 13 ოჯახი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა, 20 ოჯახი სოციალურად დაუცველი სტატუსის არ მქონე და 36 ოჯახი მრავალშვილიანი.

#### **სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ბავშვი**

სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე 13 ოჯახიდან, 8 ოჯახს აქვს სარეიტინგო ქულა 65000-მდე. მათგან 1 ბავშვი შშმ პირია, 1 დევნილი.

აღნიშნული კატეგორიის ბავშვების ძირითადი მზრუნველი არის დედა. მშობლების უმეტესობა საშუალო განათლებითაა. 7 მშობელი ხანგრძლივად უმუშევარია, 4 მშობელი

დასაქმებულია ნახევარ განაკვეთზე, 2 მშობელი სრულ განაკვეთზე.

ოჯახების ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი 5 შემთხვევაში 500 ლარს ქვემოთაა, 8 შემთხვევაში 500-1000 ლარამდე. ოჯახების შემოსავალში, 5 შემთხვევაში სახელმწიფო გასაცემლის წილია 100%, 5 შემთხვევაში 50%-ზე მეტი, დანარჩენ შემთხვევაში 50%-ზე ნაკლები.

გამოკითხულთაგან, ყველა მათგანი ცხოვრობს კერძო და მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. 5 შემთხვევაში საცხოვრებელი რეგისტრირებული საკუთრებაა, 5 შემთხვევაში ნათესავის/ახლობლის საკუთრება, 2 შემთხვევაში არარეგისტრირებული საკუთრება, 1 შემთხვევაში ცხოვრობენ ქირით. უმეტეს შემთხვევაში საცხოვრებელი არის მნიშვნელოვნად დაზიანებული.

კომუნიკაციებზე წვდომა აქვს ყველა ოჯახს. გათბობის საშუალებად 8 ოჯახი იყენებს ბუნებრივ აირს, შემას 4 ოჯახი, 1 შემთხვევაში ოჯახს გათბობის საშუალება არ აქვს.

ტრანსპორტის საჭიროება 7 შემთხვევაში არ დგას, 3 შემთხვევაში უზრუნველყოფილია ოჯახის მიერ, 3 შემთხვევაში - სახელმწიფოს მიერ.

გამოკითხულები, პრიორიტეტული საჭიროებებიდან, 92,3% პირველ ადგილზე კომუნალურ გადასახადებს ასახელებს, მე-2 ადგილზე 69.2% - ბალანსირებულ ჯანსაღ კვებას, მე-3 ადგილზე 30,8% - სასწავლო და ჰიგიენის ნივთებს.

ყველა სასკოლო ასაკის ბავშვი რეგისტრირებულია და დადის სკოლაში. 6 მათგანს სახლიდან დააქვს სკოლაში საკვები, 3 ბავშვს კვების თანხა მიაქვს, ხოლო დანარჩენი 4 მოსწავლე არ იკვებება სკოლაში. 4 მათგანი აცხადებს რომ ჩართულია სკოლის შემდგომ, არაფორმალური განათლების აქტივობებში.

ბავშვების საჭიროებებიდან კვებით უზრუნველყოფა 4 შემთხვევაში დაკმაყოფილებულია, 9 შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. ჰიგიენის ნივთებით 2 შემთხვევაში დაკმაყოფილებულია, დანარჩენ შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. ტანსაცმელით 7 შემთხვევაში დაკმაყოფილებულია, 6 შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. აცრები 9 შემთხვევაში დაკმაყოფილებულია, 4 შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. საჭიროებად გამოვლინდა ჰიგიენის ნივთები, კვება და მედიკამენტები.

გამოკითხულები, ბავშვთა დაცვის აქტუალურ საკითხად მიიჩნევენ 9 შემთხვევაში ბულინგს, 7 შემთხვევაში სიღარიბეს.

აღნიშნულ კატეგორიაში გამოკითხულები, პრიორიტეტულ მხარდაჭერად მიიჩნევენ პირველ პრიორიტეტად საბინაო პირობების გაუმჯობესებას, მე-2 პრიორიტეტად ფულად დახმარებას, მე-3 პრიორიტეტად მშობელთა პროფესიულ გადამზადებას.

### **სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე, მაგრამ ღარიბი ოჯახის ბავშვი**

სულ გამოკითხულია 20 ოჯახი. მათგან, 1 ბავშვი არის შშმ პირი, 6 დევნილი.

ბავშვების ძირითადი მზრუნველი არის დედა. მშობლების უმეტესობა საშუალო განათლებით არის. გამოკითხულთაგან 12 მშობელი უმუშევარია, 2 მშობელი -

თვითდასაქმებული, 5 მშობელი - სრულ განაკვეთზე დასაქმებული.

ოჯახების ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი 18 შემთხვევაში 0-1000 ლარამდეა, 2 შემთხვევაში - 1000 ლარს ზემოთ.

15 ოჯახის შემთხვევაში, საცხოვრებელი რეგისტრირებული საკუთრებაა, 1 შემთხვევაში - ნათესავის/ახლობლის საკუთრება, 2 შემთხვევაში - არარეგისტრირებული საკუთრება, 2 შემთხვევაში ცხოვრობენ ქირით. უმეტეს შემთხვევაში საცხოვრებელი არის მნიშვნელოვნად დაზიანებული.

კომუნიკაციებზე წვდომა ყველას აქვს. გათბობის საშუალებად 12 შემთხვევაში იყენებენ ბუნებრივ აირს, 4 შემთხვევაში - შემას, 2 შემთხვევაში - ელ. ენერგიას, 2 ოჯახს გათბობის საშუალება არ აქვს.

ტრანსპორტის საჭიროება ბაღამდე 9 შემთხვევაში არ დგას, 1 შემთხვევაში უზრუნველყოფილია ოჯახის მიერ. სკოლამდე 7 შემთხვევაში არ არის ტრანსპორტის საჭიროება, 7 შემთხვევაში უზრუნველყოფილია ოჯახის მიერ, 1 შემთხვევაში დაკმაყოფილებულია სახელმწიფოს მიერ.

გამოკითხულები, პრიორიტეტული საჭიროებებიდან, პირველ ადგილზე კომუნალურ გადასახადებს ასახელებს, მე-2 ადგილზე საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, მე-3 ადგილზე ბალანსირებულ კვებას.

ყველა სასკოლო ასაკის ბავშვი რეგისტრირებულია და დადის სკოლაში. 6 მათგანს სახლიდან დააქვს სკოლაში საკვები, 5 ბავშვს კვების თანხა მიაქვს, ხოლო დანარჩენი 6 მოსწავლე არ იკვებება სკოლაში. 11 მათგანი აცხადებს რომ ჩართულია სკოლის შემდგომ, არაფორმალური განათლების აქტივობებში.

ბავშვების საჭიროებებიდან - კვებით და ჰიგიენის საშუალებებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილებულები არიან, დაბადების დღეების აღნიშვნას კი იშვიათად ახერხებენ.

გამოკითხულები, ბავშვთა დაცვის აქტუალურ საკითხად მიიჩნევენ 14 შემთხვევაში ბულინგს, 11 შემთხვევაში - სიღარიბეს.

აღნიშნულ კატეგორიაში, გამოკითხულები, პრიორიტეტულ მხარდაჭერად მიიჩნევენ პირველ პრიორიტეტად ფულად დახმარებას, მე-2 პრიორიტეტად - მშობელთა პროფესიულ გადამზადებას და მე-3 პრიორიტეტად - მშობელთა დასაქმებას.

### **ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახი**

აღნიშნულ კატეგორიაში, სულ გამოკითხულია 36 ოჯახი. მათგან, 2 ბავშვი შშმ პირია, 2 - დევნილი, 3 - ობოლი.

ბავშვების ძირითადი მზრუნველი არის დედა. მშობლების უმეტესება საშუალო განათლებითაა. გამოკითხულთაგან 15 მშობელი უმუშევარია, 4 მშობელი თვითდასაქმებული, 11 მშობელი კი სრულ განაკვეთზე დასაქმებული.

ოჯახების ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი 23 შემთხვევაში 0-1000 ლარამდეა, 13 შემთხვევაში - 1000 ლარს ზემოთ.

13 ოჯახის შემთხვევაში საცხოვრებელი რეგისტრირებული საკუთრებაა, 14 შემთხვევაში - ნათესავის/ახლობლის საკუთრება, 1 შემთხვევაში - არარეგისტრირებული საკუთრება, 8 შემთხვევაში ოჯახი ცხოვრობს ქირით. 24 შემთხვევაში საცხოვრებელი არის მნიშვნელოვნად დაზიანებული, 12 შემთხვევაში - კარგ მდგომარეობაში.

კომუნიკაციებზე წვდომა თითქმის ყველას აქვს. გათბობის საშუალებად 29 ოჯახი იყენებს ბუნებრივ აირს, 3 ოჯახი - შემას, 4 ოჯახი - ელ. ენერგიას.

ტრანსპორტის საჭიროება საბავშვო ბაღამდე 5 შემთხვევაში არ დგას, 9 შემთხვევაში უზრუნველყოფილია ოჯახის მიერ. ტრანსპორტის საჭიროება სკოლამდე 6 შემთხვევაში არ დგას, 13 შემთხვევაში უზრუნველყოფილია ოჯახის მიერ, 7 შემთხვევაში დაკმაყოფილებულია სახელმწიფოს მიერ.

გამოკითხულები, პრიორიტეტული საჭიროებებიდან, პირველ ადგილზე კომუნალურ გადასახადებს ასახელებს, მე-2 ადგილზე - ბალანსირებულ კვებას, მე-3 ადგილზე ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს.

ყველა სასკოლო ასაკის ბავშვი რეგისტრირებულია და დადის სკოლაში. 10 მათგანს სახლიდან დააქვს სკოლაში საკვები, 4 ბავშვს კვების თანხა მიაქვს, ხოლო დანარჩენი 12 მოსწავლე არ იკვებება სკოლაში. 15 მათგანი აცხადებს რომ ჩართულია სკოლის შემდგომ, არაფორმალური განათლების აქტივობებში.

ბავშვების საჭიროებებიდან - კვებით, ჰიგიენის საშუალებებით და ტანსაცმლით, ნაწილობრივ დაკმაყოფილებულები არიან, დაბადების დღეების აღნიშვნას კი იშვიათად ახერხებენ.

გამოკითხულები, ბავშვთა დაცვის აქტუალურ საკითხად მიიჩნევენ 13 შემთხვევაში ბულინგს, 18 შემთხვევაში - სიღარიბეს.

აღნიშნულ კატეგორიაში, გამოკითხულები, პრიორიტეტულ მხარდაჭერად მიიჩნევენ პირველ პრიორიტეტად ფულად დახმარებას, მე-2 პრიორიტეტად - დასაქმებას, მე-3 პრიორიტეტად - საბინაო პირობების გაუმჯობესებას.

გამოკითხულებიდან, თითქმის ყველას აქვს მუნიციპალიტეტთან მიმართვიანობის გამოცდილება. უმეტესობა დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერას. ისინი, მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის სასურველ ფორმად მერიაში ვიზიტს მიიჩნევენ.

### **სამიზნე ჯგუფების მიხედვით,**

#### **პრიორიტეტული მიმართულები გადანაწილდა შემდეგი სახით:**

**სამიზნე ჯგუფი:      შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი**

**პრიორიტეტული მიმართულებები:**

1. კომუნალური გადასახადის გადახდა;
2. ბალანსირებული კვებით უზრუნველყოფა;
3. სასწავლო და გასართობი ნივთების შეძენა;
4. ჰიგიენური საშუალებების შეძენა;

5. სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
6. ფულადი დახმარება;
7. მშობელთა დასაქმება.

**სამიზნე ჯგუფი: მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი**

**პრიორიტეტული მიმართულებები:**

1. კომუნალური გადასახადის გადახდა;
2. ბალანსირებული კვებით უზრუნველყოფა;
3. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენა;
4. ფულადი დახმარება;
5. მშობელთა დასაქმება;
6. საბინაო პირობების გაუმჯობესება;
7. კულტურულ-გასართობ აქტივობებში ჩართვა;
8. დაბადების დღეების აღნიშვნა;
9. ტრანსპორტირების ხელშეწყობა.

**სამიზნე ჯგუფი: სახელმწიფო ზრუნვიდან რეინტეგრირებული და რეინტეგრაციას**

**დაქვემდებარებული ბავშვი**

**პრიორიტეტული მიმართულებები:**

1. კომუნალური გადასახადის გადახდა;
2. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
3. ბალანსირებული კვებით უზრუნველყოფა;
4. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენა;
5. ფულადი დახმარება;
6. ჰიგიენური მოვლის საშუალებებით დახმარება.

**სამიზნე ჯგუფი: ღარიბი ბავშვიანი ოჯახი**

**პრიორიტეტული მიმართულებები:**

1. კომუნალური გადასახადის გადახდა;
2. ბალანსირებული კვებით უზრუნველყოფა;
3. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
4. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენა;
5. სასწავლო და ჰიგიენის ნივთების შეძენა;
6. ფულადი დახმარება;
7. მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
8. მშობელთა პროფესიული გადამზადება;

9. მშობელთა დასაქმება;
10. დაბადების დღეების აღნიშვნა.

### **საჭიროებათა კვლევის საჯარო განხილვის მიმოხილვადა შედეგები**

